პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა __

2023 წლის__ იანვარი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (დანართი თან ერთვის) .
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მოწვეული სპეციალისტი — სნეჟანა ჯოლოხავა

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მ/შ — ნოდარ ასათიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ს/კ 421272027 **5400** **ქ. წყალტუბო, დედა ენის ქ. №2** ☎**995** 577 57 62 76 (0 436) 22 22 29

N 122/3
16/01/2023

3-122-2-202301161228

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" ანგარიშს 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ხურცია

მმართველი
ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ჩვენი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის": მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და ა.შ.

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე 2022 წლის III-IV კვარტალში განხორციელდა რიგი სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები:

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ III-IV კვარტალში გაიმართა და მონაწილეობა მიიღო რიგ ღონისძიებებში:

2022 წლის 4 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში იყო საერთაშორისო პროექტი ,,თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“-ფარგლებში საზაფხულო ,,მწვანე ბანაკი“. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ ეკოლოგიის წრის წევრები, (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლების 26 მოსწავლე;

14-15 აგვისტოს ქალაქ წყალტუბოში გაიმართა საერთაშორისო პროექტის ,,თანამშრომლობა სუფთა გერემოსთვის“ ფინალური კონფერენცია, სადაც მომხსენებლად წარდგა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელი ცირა ბერეკაშვილი;

1 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით მოხდა მოსწავლე-ახლგაზრდობის სახლის წრეებში მოსწავლეთა რეგისტრაცია, წრეების დაკომპლექტება და მოსწავლეთა ჩარიცხვა. სულ ჩაირიცხა 357 მოსწავლე.

9-12 სექტემბერი კაბადოკიაში ,,ღვინისა და ვაზის ფესტივალში“ მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალური წრის (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) წევრებმა;

1 ოქტომბერს „შემოდგომის წყალტუბო“, მონაწილეობა მიიღო ვოკალურმა ანსამბლმა „ოცნებამ“(ხელმძღვანელი: ხ. ბუაძე) ბალეტის წრემ (ხელმძ- ნ. ცერცვაძე) გიტარის წრემ(ხელმძ.გ.ნაოჭაშვილი) ტაეკვანდოს წრემ (ხელმძ.ზ.სალუქვაძე) და ხელმარჯვეთა წრემ (ხელმძ.ტ ხახნელიძე);

22 ოქტომბერს ს|დ „ივერიაში“ გაიმართა ხელოვნების ფესტივალი „გორდენ გრუპი 2022“ რომელშიც მონაწილეობდა ვოკალური წრე (ხელმძ.ხ.ბუაძე);

22 ოქტომბერს ზუგდიდში გაიმართა ღია პირველობა ტაეკვონდოში, რომელშიც მონაწილეობდა ტაეკვონდოს წრის 6 მონაწილე, აქედან 2 მოსწავლე ოქროს მედლით ხოლო 4 ბრინჯოს მედლით დაჯილდოვდნენ. (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე);

24 ოქტომბერს გაიმართა ნ.ლორთქიფანიძის დაბადების 142-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენცია თემაზე „ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება" ხელ-ლი: ოქროპირ სვნაძე;

26 ოქტომბერს ნიკო ლორთქიფანიძის საიუბილეოდ გაიმართა ლიტერატურული კომპოზიცია ,,ვკითხულობთ ნიკოს" ხელ-ლი: ოქროპირ სვნაძე;

31 ოქტომბერი ნიკო ლორთქიფანიძის დღისადმი მიძღვნილი მუსიკალური სპექტაკლი ,,დიდი ქართველი" ხელ-ლი: ოქროპირ სვნაძე;

25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე მიმდინარეობდა ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აქცია და გადავიღეთ ვიდეო-რგოლი თემაზე ,,ერთად დავამარცხოთ ძალადობა";

5 დეკემბერს დედამიწის დღეს ეკოლოგიის წრემ ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი მიუძღვნა კონფერენცია თემაზე „დავიცვათ დედამიწა";

5 დეკემბერს თბილისში გამართულ „ჰელფინ ჰენდი" კონფერენციაში მონაწილეობდა ეკოლოგიის წრის წევრი;

15 დეკემბერი პაოლო იაშვილის დაბადების დღეს მიეძღვნა პოეზიის საღამო. ხელ-ლი: ოქროპირ სვანაძე;

19 დეკემბერი მოსწავლე-ახალგაბრდობის სახლში საზზეიმოდ აინთო ნაძვის ხე, რომელშიც მონაწილეობდა ვოკალური წრე ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე, საბავშვო თეატრის წრე ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე და ბალეტის წრე ხელ-ლი: ნათელა ცერცვაძე;

19 დეკემბერი ტაეკვონდოს წრის აღსაზრდელებს ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე საქართველოში ტაეკვონდოს განვითარებისა და პოპულარობის მიზნით სტუმრად ჩამოვიდნენ ეროვნული ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მე-7 დანის მფლობელი ოსტატი დუხვი ლი. შეხვედრის ფარგლებში მოეწყო საჩვენებელი მასტერ კლასები სპორტცმენებთან. ფასიანი საჩუქრები გადასცეს ეროვნული ფედერაციის გამგეობის წევრმა ბატონმა ზაზა ფანცულაიამ, იმერეთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონი ვლადიმერ ჯღამაძე და ამავე ფედერაციის მდივანი ბატონი მიშა ასანიძე;

22 დეკემბერს ქალაქის ცენტრალურ პარკში მთავარი ნაძვისხის საზეიმოდ ანთებაში მონაწილეობა მიიღო ვოკალურმა წრემ ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე და ხელმარჯვეთა წრემ ხელ-ლი: ტასო ხახნელიძე;

25 დეკემბერს სენაკში ჩატარდა ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში, რომელშიც მონაწილეობდა 8 სპორცმენი, აქედან ოქროს მედლით დაჯილდოვდა 2 სპორცმენი, ვერცხლის მედლოთ 3 სპორცმენი და ბრინჯაო მედლით 3 სპორცმენი;

25 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის ნიღბების თეატრში საახალწლო კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვოკალურმა ჯგუფმა ,,ოცნება" ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე.

სამუსიკო სკოლა

სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა-გამოვლენას. გარდა იმისა, რომ მოსწავლე აქ იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ- კონკურსებში:

2022 წლის 1 ოქტომბერს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქალაქის ზეიმში „წყალტუბობა - 2022", როგორც მასიურ მსვლელობაში ასევე ვოკალური განყოფილების მოსწავლეები და პედაგოგები წარსდგნენ ჩამოსული საპატიო სტუმრების წინაშე საკონცერტო ნომრებით;

16 ოქტომბერს ჩატარდა ფესტივალის ფარგლებში ჩამოსული მაღალი რანგის მუსიკოსებთან ერთად ერთობლივი კლასიკური მუსიკის კონცერტი;

23 დეკემბერს ჩატარდა სკოლაში საახალწლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამივე განყოფილების მოსწავლეებმა, სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა და ფოლკლორულმა ანსამბლმა პედაგოგებთან ერთად.

2022 წლის ბოლოს სკოლაში ირიცხებოდა 141 მოსწავლე.

სამხატვრო სკოლა

სამხატვრო სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას.
სკოლაში ირიცხებოდა 115 მოსწავლე. მათ პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.

მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.
სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა ,,ცხოვრებისა და შემოქმედების" შესახებ, რომელთაც თან ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია. სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური და გასვლითი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა-კონკურსებში.

2022 წლის 15 ივლისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა არტ-გენი, სადაც მოეწყო წყალტუბოში მოღვაწე სახვითი და გამოყენებითი ხელოვანების გამოფენა;

16 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით პროექტის ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში ,,ნიკო ბლორთქიფანიძის" სახლმუზეუმის ეზოში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა-პლენერი, ასევე წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის გამოფენა-გაყიდვა;

28 სექტემბერს ჩატარდა კონკურსი ,,შემოდგომის წყალტუბო", სადაც მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა;

1 ოქტომბერს წყალტუბოში აღინიშნა სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო'', სადაც გამოფენილი წყალტუბოელ მეწარმეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა;

15 ოქტომბერს თბილისში ,,ექსპოჯორჯიას'' საგამოფენო სივრცეში ,, ეთნოფესტი 2022'' ჩატარდა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ წყალტუბოში მცხოვრები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები;

26 ოქტომბერს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე -,, ნიკო ფიროსმანის" ცხოვრება და შემოქმედება;

8 ნოემბერს ქუთაისის ოპერის თეატრში გაიმართა ეროვნული ფესტივალის II ტური, რომელშიც 14 მონაწილე გადავიდა;

24 ნოემბერს ივერიაში გაიმართა გამოფენა ,,ART OF WASTI'', სადაც წარმოდგენილი იყო უფუნქციო და მეორადი ნივთების გამოყენებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, რომელიც შექმნა სამხატვრო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა;

1 დეკემბერს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე; ,,ელენე ახვლედიანის"ცხოვრება და შემოქმედება.

22 დეკემბერს ნაძვის ხის ანთებასთან დაკავშირებით გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

27 დეკემბერს სამხატვრო სკოლის დარბაზში მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

მოგახსენებთ, რომ 2022 წელს III-IV კვარტალში დაზუსტებული ხარჯები იყო 293616 ლარი. ათვისებულია - 305244 ლარი და 77 თეთრი. (I-II კვარტალში დარჩენილი ნაშთები ათვისებულია III-IV კვარტალში)

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 237479 ლარი, ათვისებულია – 245820 ლარი და 61 თეთრი;
2. პრემია/ჯილდო - დამტკიცებულია - 27271 ლარი, ათვისებულია -27270 ლარი და 77 თეთრი;
3. მივლინება - დამტკიცებულის 400 ლარი, აუთვისებელია;
4. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 1500 ლარი, ათვისებულია – 1680 ლარი;
5. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 500 ლარი, ათვისებულია 851 ლარი;

6. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 950 ლარი, ათვისებულია - 3187 ;
7. საოფისე ინვენტარის შეძენა ათვისებულია-1220 ლარი;
8. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია – 1750 ლარი, ათვისებულია-1750 ლარი;
9. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 2650 ლარი, ათვისებულია – 3155 ლარი და 59 თეთრი.
10. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 4880 ლარი, ათვისებულია - 4115 ლარი და 84 თეთრი;
11. რბილი ინვენტარის ხარჯი - დამტკიცებულია - 1800 ლარი, ათვისებულია - 1795 ლარი;
12. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 1250 ლარი, ათვისებულია-750 ლარი;
13. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა დამტკიცებულია – 4786 ლარი და 4704 ლარი და 60 თეთრი.
14. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 8400 ლარი, ათვისებული - 5044 ლარი 36 თეთრი;
15. არაფინანსური აქტივების ზრდა ათვისებულია -3900 ლარი.

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნად ვისახავთ კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონმისძიებების მომზადება-ჩატარებას, ახალი აქტივობების ძიებასა და სააღმზრდელო საქმიანობაში მათ პრაქტიკულ დანერგვას სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადებას.

ბუნებრივია კვლავ რჩება მთავარ პრიორიტეტად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-სამეცადინო ოთახების, სააქტო და საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობა, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლოს სხვადასხვა საბავშვო ფესტივალებს და კონკურსებს. მოხდეს მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის"
მმართველი

ნინო ხურცია